



ფინანსური აუდიტის ანგარიში





“ვერცხლი”

20. თქვამები 2020 წელი
N 28/36

288.: N 1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული
ორბანეზაციების 2019 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული გარიგების
კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების
ფინანსური აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	4
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	8
	2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	12
	3. სხვა გარემოებები	18
დანართები	4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	22
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	24
	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები	26
	საკონტაქტო ინფორმაცია	28

ტერმინები და შემოკლებები

აფხაზეთის ა/რ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.

უმაღლესი საბჭო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

აფხაზეთის მთავრობა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

ფინანსთა სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო.

ჯანდაცვის სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

განათლების სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

დევენილთა სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტრო.

სავაჭრო პალატა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო - სამრეწველო პალატა.

ფინანსთა მინისტრი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის მინისტრი.

სსიპ – ბიზნესინკუბატორი – სსიპ – აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი – ბიზნესინკუბატორი.

სამეგრელოს წარმომადგენლობა – სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა.

იმერეთის წარმომადგენლობა – იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა.

აღმოსავლეთის წარმომადგენლობა – აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ და სახელმწიფოს მიერ კანონით დელეგირებულ უფლებამოსილებებს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული უფლებამოსილებებია:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღება;

ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;

გ) საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების კონტროლი;

დ) საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვა და განკარგვა;

ე) ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნა, მართვა და მხარდაჭერა;

ვ) საქართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენა და მინიჭება;

ზ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამსახურის მართვა.


აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში, სარგებლობს ფინანსური ავტონომიით.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის ჯგუფის და მისი კომპონენტების შესახებ მოცემულია დანართში (იხ. ცხრილი N6).

აფხაზეთის ა/რ ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგება დგება ფინანსთა სამინისტროს მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული მხარჯავი დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგებების კონსოლიდაციით. თავის მხრივ, სამი მხარჯავი დაწესებულების¹ ფინანსური ანგარიშგება დგება მათ კონტროლს ქვეშ მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციით (პირველი დონის კონსოლიდაცია).

¹ აფხაზეთის ა/რ მთავრობა; აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო; აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო.

დიაგრამა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების სტრუქტურა



ცხრილი N1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული მხარჯავი ორგანიზაციების 2019 წლის ბიუჯეტის შესრულება (ლარი)

მუხლის დასახელება	ბიუჯეტის გეგმა (პირველადი)	ბიუჯეტის გეგმა (დაზუსტებული)	საკასო შესრულება	ბიუჯეტის ცვლილება	შესრულება (საკასო/დაზუსტებული)
01 00 აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	2,046,740	2,266,040	2,167,532	111%	96%
02 00 აფხაზეთის ა/რ მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	2,092,050	2,166,970	2,150,386	104%	99%
05 00 აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1,535,100	1,585,100	1,567,465	103%	99%
06 00 აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	4,153,760	4,601,930	4,490,948	111%	98%
08 00 ზემო აფხაზეთში - აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა	212,880	213,840	209,341	100%	98%
10 00 აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	592,780	432,633	415,923	73%	96%
11 00 აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტი	896,380	908,700	910,962	101%	100%
12 00 აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	1,034,660	769,900	755,413	74%	98%
13 00 აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში	836,360	872,810	856,335	104%	98%
14 00 აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში	501,320	513,380	514,319	102%	100%

15 00 აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში	1,074,000	1,104,000	1,117,594	103%	101%
16 00 მთავრობის სარეზერვო ფონდი	100,000	100,000		100%	0%
18 00 აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	1,964,900	2,587,470	2,666,684	132%	103%
19 00 ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის აპარატი	442,350	519,350	493,483	117%	95%
სულ:	17,483,280	18,642,123	18,316,385		

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს² მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აზნაღში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N01/69 ბრძანებით დამტკიცებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგების წესის შესაბამისად.

² „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით განსაზღვრული დანართები.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 კონსოლიდაციის პროცესი

აფხაზეთის ა/რ ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგება დგება რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული მხარჯავი დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგებების კონსოლიდაციით. კერძოდ, პირველ დონეზე სამი მხარჯავი დაწესებულება³ ადგენს ფინანსურ ანგარიშგებას მათ კონტროლს ქვეშ მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციით (პირველი დონის კონსოლიდაცია), ხოლო შემდგომ ფინანსთა სამინისტრო აერთიანებს აღნიშნული სამი მხარჯავის მიერ მომზადებულ ანგარიშგებებს და ამზადებს აფხაზეთის ა/რ ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ კონსოლიდირებულ ბუღალტრულ ანგარიშგებას. პირველი დონის კონსოლიდაციისას დაშვებული შეცდომები არსებითი სახის გავლენას ახდენენ ნაერთ კონსოლიდირებულ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე.

განათლების სამინისტროს აპარატის მიერ „6300 გრანტების“ ანგარიშზე⁴ სხვადასხვა დროს ხუთი კონტროლირებადი ერთეულის ანგარიშზე გადარიცხულია – 32,08 ათასი ლარი. განათლების სამინისტროს აპარატის ანგარიშგებაში ბიუჯეტიდან თანხის მიღება აღიარებულია საოპერაციო შემოსავალში, როგორც ბიუჯეტიდან გრანტის სახით მიღებული დაფინანსება და ამ თანხის კონტროლირებადი ერთეულებისთვის გადარიცხვა მიკუთვნებულია „მიმდინარე გრანტის ხარჯების“ მუხლს. ამავდროულად, სსიპ-ის მიერ მათ ხაზინის ანგარიშზე თანხების ჩარიცხვა აღრიცხულია, როგორც ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი და ხარჯები მიკუთვნებულია ეკონომიკური საქმიანობით გაწეული ხარჯების შესაბამის მუხლებს.

კონსოლიდაციის პროცესის დროს არ არის ელიმინირებული სამინისტროს შიგნით განხორციელებული ოპერაციები და კონსოლიდირებულ (ნაერთ) ანგარიშგებაში ერთი და იგივე შემოსავლები და ხარჯები არასწორად (ორჯერ) არის ასახული: ერთხელ – როგორც სამინისტროს აპარატისთვის „გრანტების“ მუხლით საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსება „ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების ანგარიშში“ და „წმინდა ღირებულების შესახებ ანგარიშში“ და მეორედ – კონტროლირებადი ერთეულებისთვის – „არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშში“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართი N4-ში 32,08 ათასი ლარით არასწორადაა გაზრდილი საოპერაციო შემოსავლები და საოპერაციო ხარჯები და ამავდროულად დარღვეულია მოქმედი კანონმდებლობის (წესის) მოთხოვნები.⁵

1.2 კონსოლიდირებული ანგარიშგების

ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კონსოლიდირებულ (ნაერთ) ბუღალტრულ ანგარიშგებაში არ არის სრულად ასახული „ბალანსის აქტივის“ და „წმინდა კაპიტალის“ მუხლები, გამოტოვებულია შემოსავალთან

³ აფხაზეთის ა/რ მთავრობა; აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო; აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო.

⁴ „მიმდინარე – გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ(ებ)-ს“ – 2.6.3 სახაზინო კოდი.

⁵ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მუხლი 3, პუნქტი 9; სსპას – 6 „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“, პუნქტი 43. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N01/69 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგების წესი“.

კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებები

დაკავშირებული არსებითი და მნიშვნელოვანი სამეურნეო ოპერაციები. კერძოდ:

- ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან შემოსულობების შესახებ ამონაწერით დასტურდება, რომ **ფინანსთა სამინისტროს** სს „ტერაბანკში“⁶ გახსნილი ჰქონდა მოთხოვნამდე ანგარიში, რომელზეც ხელშეკრულების⁶ შესაბამისად ერიცხებოდა საპროცენტო სარგებელი; აღნიშნულ ანგარიშზე 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის საწყის და საბოლოო ნაშთებს წარმოადგენდა, შესაბამისად, 3,419.2 ათასი ლარი და 1,611.5 ათასი ლარი, რაც არ არის სამინისტროს ბალანსში ასახული.

ამავე ანგარიშზე 2019 წელს დარიცხულია და შემოსულობების სახით მიღებულია საპროცენტო სარგებელი 334.04 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა არ არის წარმოდგენილი სამინისტროს მიერ მომზადებულ ნაერთი ბალანსის დანართებში და აქედან გამომდინარე, აფხაზეთის ა/რ ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთ (კონსოლიდირებულ) ბუღალტრულ ანგარიშგებაში.

შედეგად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსთა სამინისტროს ნაერთ ბალანსში არაფინანსური აქტივების ჯამური ნაშთი შემცირებულია 1,611.5 ათასი ლარით და წარმოდგენილია 1,576.05 ათასი ლარით. ხოლო ბალანსის დანართ ფორმა N3-ში ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ სხვა საოპერაციო შემოსავლები და პერიოდის ბოლოსთვის წმინდა ღირებულების ნაშთი შემცირებულია 334.04 ათასი ლარით, რაც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე;

- ⌋ **ჯანდაცვის სამინისტრომ**, განხორციელებული ოფისის სარემონტო სამუშაოების შედეგად, ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟის თანხა 14,85 ათასი ლარის ღირებულებით ჩამოწერა მიმდინარე ხარჯებში და შეამცირა „წმინდა კაპიტალი“, რის შემდეგ, იმავე თანხით აღნიშნული ხარჯები აღიარა ცალკე აქტივად და შესაბამისად, არასაოპერაციო შემოსავლად.

ასევე, სამინისტრომ არასაოპერაციო ხარჯებში (გრანტებსა და არასაოპერაციო შემოსავლებში) შეცდომით ორჯერ აღრიცხა მისთვის 1,0 ათასი ლარის ღირებულების მედიკამენტების უსასყიდლოდ გადმოცემა.

ინსტრუქციის⁷ მიხედვით, ძირითადი აქტივების შემენა აღირიცხება ძირითადი აქტივების შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და არაფინანსური აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში. აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აუდიტის ჩატარების პროცესში ბუღალტრული გატარების დონეზე განხორციელდა შესაბამისი შესწორება. თუმცა, ზემოაღწერილი დარღვევის შედეგად, არასაოპერაციო შემოსავლები და არასაოპერაციო ხარჯები შეცდომით 15,85 ათასი ლარის მეტობით არის წარმოდგენილი ფორმა N3-სა და ფორმა N5-ში, რითაც არაა უზრუნველყოფილი ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა.

- ⌋ **ჯანდაცვის სამინისტროს** 2019 წელს ბუღალტრული გატარებების მონაცემებით გრანტის სახით გაცემული აქვს 10,62 ათასი ლარის აქტივი, მათ შორის: 3,88 ათასი ლარის აქტივები გაცემულია სოციალური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გასვლითი ღონისძიებების დროს, შესაბამისად უნდა ასახულიყო „სოციალური დახმარების“ მუხლზე, ხოლო 6,74 ათასი ლარის

⁶ 2016 წლის 4 იანვრის ხელშეკრულება სს „კორსტანდარტბანკთან“ (მოქმედი სახელწოდებით „ტერაბანკი“) საბანკო მომსახურების შესახებ მოთხოვნამდე ანგარიშზე სარგებლის დარიცხვის თაობაზე.

⁷ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მუხლი 23 და მუხლი 38.

აქტივები გადაეცათ არასაბიუჯეტო ორგანიზაციებს, კერძოდ, შპს-ებს, შესაბამისად უნდა ასახულიყო „სხვა ხარჯების“ მუხლზე.

ზემოაღნიშნულის შედეგად, ფორმა N5-ში „სოციალური დახმარების“ მუხლი 3,88 ათასი ლარით, ხოლო „სხვა ხარჯების“ მუხლი ფორმა N3-სა და N5-ში 6,74 ათასი ლარით ნაკლები თანხით არის წარმოდგენილი. ასევე: ფორმა N3-სა და N5-ში „გრანტების“ მუხლი 7,7 ათასი ლარით გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი;

ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოქმედი კანონმდებლობით,⁸ აფხაზეთის ა/რ წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, სადაც აფხაზეთის ა/რ საკუთრებაშია წილის (აქციების) 50% ან 50%-ზე მეტი, ქონების გადაცემა სასყიდლით ან უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თუმცა ჯანდაცვის სამინისტროს არ მიუმართავს ფინანსთა სამინისტროსათვის და შესაბამისად, აღნიშნულ გადაცემაზე ბრძანება არ ფიქსირდება, რაც მიუთითებს ჯანდაცვის სამინისტროს მხრიდან აქტივების მართვის ნაკლოვანებებზე და შეიცავს მათი არამიზნობრივად გამოყენების რისკებს.

1.3 მასშტაბის შეზღუდვა

განათლების სამინისტროს მიერ ხორციელდებოდა „გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების ქვეპროგრამა“, რომლის ფარგლებში 183 ბენეფიციარზე გაიხარჯა 316,35 ათასი ლარი. ბენეფიციარების (სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გამგეები, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების დირექტორები, პედაგოგები) უზრუნველყოფა წარმოებდა ყოველკვარტლური ფინანსური დახმარებით, რომლის ოდენობაც განსაზღვრული იყო ქვეპროგრამით. ბენეფიციართა სია განისაზღვრებოდა აფხაზეთის ა/რ განათლების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ბენეფიციართა სიაში ან/და გასაცემი სახსრების ოდენობაში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდებოდა ასევე გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წერილობით მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სამინისტრო ბენეფიციარებს ქვეპროგრამით განსაზღვრულ ფინანსურ დახმარებას ურიცხავდა ბენეფიციართა ქართულ საბანკო სივრცეში გახსნილ ანაგრიშებზე. გამომდონარე იქედან, რომ პოლიტიკური მდგომარეობის გამო შეუძლებელია გალის ტერიტორიაზე განთავსებული დაწესებულებების ფიზიკური შემოწმება და ამ დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის ნამდვილობის დადასტურება და ვინაიდან სამინისტრო ბენეფიციართა დახმარებას ახორციელებდა მხოლოდ გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (რომლის შემდგომ შესწავლასა და გადამოწმებას სამინისტრო ვერ ახერხებდა), შესაძლოა არსებობდეს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად და არაეფექტიანად გამოყენების რისკები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი რწმუნება აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში „7700 სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან“ გაცემული 316,35 ათასი ლარის ფინანსური დახმარების მიზნობრიობასა და სისწორეზე.

⁸ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ფინანსური აღრიცხვის შეცდომები

2.1.1 დანაკლისების არასწორად აღრიცხვა

განათლების სამინისტროს კონსოლიდირებული ბალანსის ანგარიშზე - „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებზე“ ირიცხება ზემო აფხაზეთში 2008 წელს დარჩენილი ქონება – სცენის გახმოვანების და განათების აპარატურის კომპლექტი, რაც ხადაზმულობიდან და მისი ამოღების ნაკლები ალბათობიდან გამომდინარე, გადატანილი უნდა იყოს საცნობარო მუხლზე. დარღვეულია ინსტრუქციის⁹ მოთხოვნები და არაა უზრუნველყოფილი ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის უტყუარობა;

2.1.2 მოთხოვნების ნაშთების არასწორი აღრიცხვა

სსიპ – ბიზნესინკუბატორის ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული გატარებების ჩანაწერების შეჯერებით გამოვლინდა, რომ ბალანსის მუხლზე „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები“ 2018 წლის ბოლოსათვის ნაშთი 2,77 ათასი ლარი, ნაცვლად 22,13 ათასი ლარისა, არასწორად იყო აღრიცხული, რაც 2019 წლის ბალანსში წლის დასაწყისისთვის არ გასწორებულა. ამასთანავე, ბალანსის ამ მუხლზე 2019 წლის საბოლოო ნაშთი – ნაცვლად, 31,89 ათასი ლარისა, ასახულია 29,99 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის ბალანსის მუხლზე „წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა“ – წლის დასაწყისში არ არის ასახული 0,9 ათასი ლარის ნაშთი. ასევე, ამ მუხლზე წლის ბოლოს, ნაცვლად 1,13 ათასი ლარისა, წარმოდგენილია 1,28 ათასი ლარი. მოპოვებული ინფორმაციით, 2019 წლის ბალანსში საწყისი ნაშთების არასწორი ასახვა გამოიწვია წინა პერიოდების 2014-2018 წლებში იჯარის საფასურის გაანგარიშებებში და ბუღალტრულ გატარებებში დაშვებულმა შეცდომებმა;

უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე ასახულია „მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ“ 2,17 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს 2018 წლის აგვისტოში უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ესტონეთის რესპუბლიკაში განუხორციელებელი მივლინების გამო შპს „ლ.ს სერვისის“ მიმართ უკვე გადახდილი შესაბამისი ბილეთების საფასურის უკან დაბრუნების მოთხოვნას. თანხის მოთხოვნის ფაქტზე თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 19 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებით,¹⁰ უმაღლესი საბჭოს სარჩელი არ დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილება უმაღლეს საბჭოს გაეზავნა¹¹ 2019 წლის 24 დეკემბერს, რომლის საფუძველზე მოთხოვნები არ ჩამოიწერა არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე, როგორც ამას ავალდებულებს ინსტრუქცია.¹² ინსტრუქციის¹³ მოთხოვნების დარღვევის გამო, უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის კონსოლიდირებული ბუღალტრულ ანგარიშგებაში „აქტივები“ და „წმინდა კაპიტალი“ წარდგენილია 2,17 ათასი ლარით გაზრდილი ღირებულებით, ამავდროულად, არასაოპერაციო ხარჯები შემცირებულია იმავე ოდენობის თანხით;

2.2 კონტროლის მექანიზმები

უმაღლესი საბჭოს აპარატს, განათლების სამინისტროს და მის კონტროლირებად ერთეულებს, ჯანდაცვის სამინისტროს და დევნილთა სამინისტროს არ ჰქონდათ შემუშავებული და დანერგული ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით

⁹ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მუხლი 40, პუნქტი 4.

¹⁰ საქმე N2/35149-18.

¹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 24 დეკემბრის N5703808949202 წერილი.

¹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მუხლი 14 პუნქტი 34.

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 2 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ მუხლი 9, პუნქტი 1.

2.2.1 ფორმალიზებული კონტროლის მექანიზმების არარსებობა

განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა¹⁴. სააღრიცხვო პოლიტიკის არქონით გამოწვეულია სხვადასხვა საბალანსო ერთეულებში რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით აღიარების სხვადასხვა მეთოდების/პრინციპების არსებობა. მაგალითად: ჯანდაცვისა და განათლების სამინისტრო უწყვეტი მომსახურების (კომუნალური/კავშირგაბმულობა და საწვავის ხარჯები) ხარჯად აღიარების დროს იყენებს საკასო მეთოდს, ანუ მიღებულ მომსახურებას აღიარებს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახდა. ხოლო უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის მთავრობა, ფინანსთა სამინისტრო და დევნილთა სამინისტრო აღნიშნულ ხარჯებს აღრიცხავს დარიცხვის მეთოდით (აღიარებს საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებად).

აფხაზეთის ა/რ სტრუქტურულ ერთეულებში ფინანსური და საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის პროცესებში არ არის დანერგილი ქმედითუნარიანი კონტროლის მექანიზმები და შემოიფარგლება მხოლოდ პრაქტიკაში თანამშრომელთა მიერ, ყოველგვარი კონტროლის პოლიტიკის, წესისა და ფორმის არსებობის გარეშე, დანერგილი შიდა კონტროლის პროცედურებით. აღნიშნული კონტროლის პროცედურები არ არის ხელმძღვანელობის მიერ ფორმალიზებული და ვერ დასტურდება მათი ეფექტიანად, უწყვეტად და თანამიმდევრულად ფუნქციონირება. ამის გამო, არსებობს რისკი იმისა, რომ ისინი ვერ უზრუნველყოფენ ფინანსურ მართვაში არსებითი შეცდომების ან არსებითი ხარვეზების თავიდან აცილებას ან დროულად გამოვლენასა და გასწორებას.

2.2.2 მოთხოვნა/ვალდებულებების მართვის ნაკლოვანებები

ორგანიზაციისთვის მოთხოვნა/ვალდებულებების მართვის მიზანია დებიტორებისა და კრედიტორების სრულად იდენტიფიცირება და ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ანგარიშგებზე სწორად ასახვა. მიუხედავად აღნიშნულისა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ორგანიზაციების მხრიდან მოთხოვნების ნაშთის დადასტურების მიზნით, დებიტორებთან/კრედიტორებთან შედარების აქტები არ ფორმდება. ასევე, უმაღლესი საბჭოს და ფინანსთა სამინისტროს ბალანსებში საცნობარო მუხლებზე: „გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება (03)“ და „ვადაგადაცილებული დავალიანება (09)“, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ხდება აღრიცხული დავალიანებების ამოღების ალბათობის შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნების/ვალდებულებების მართვის პროცესში არ არის დანერგილი სათანადო და საკმარისი კონტროლის მექანიზმები;

2.2.3 არაფინანსური აქტივების მართვის ნაკლოვანებები

ინვენტარიზაცია წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა ძირითადი საშუალება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. მიუხედავად ამისა, ჯანდაცვის სამინისტროში 2019 წელს არ ჩატარებულა მოქმედი კანონმდებლობით¹⁵ განსაზღვრული სავალდებულო ინვენტარიზაცია.

¹⁴ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მუხლი 3, პუნქტი 8.

სსპას - 3 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, პუნქტი 9.

სსპასს - 6 - „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“, პუნქტი 49

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“, მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“.

ასევე აფხაზეთის ა/რ სტრუქტურებში ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების სიზუსტის მიზნით არ არის დანერგილი ორი დონის კონტროლი, კერძოდ: ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვის პროცესს ახორციელებს საბუღალტრო სამსახურების კონკრეტული თანამშრომელი, რომლის შესრულებული სამუშაოს კონტროლი არ ხდება სხვა (ხელმძღვანელი) პირის მიერ ან/და დოკუმენტურად არ დასტურდება;

2.2.4 ახსნა-განმარტებითი შენიშვნების არარსებობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგება და კონსოლიდაციის ელემენტების ანგარიშგებები შედგენილია მოქმედი ინსტრუქციის¹⁶ მიხედვით და არ მოიცავს ახსნა-განმარტებით შენიშვნებს იმ ფორმატში, რაც მოთხოვნილია შესაბამისი სტანდარტებით. მაგალითად, აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ არ არის გაცხადებული დაკავშირებული მხარეების არსებობის შესახებ¹⁷. ამის გამო, არ არის გამოკვეთილი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა დაკავშირებულ მხარეთა დადგენაზე, დაკავშირებული მხარეებისა და დაკავშირებულ მხარეებთან ერთად განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაზე, მათ შორის, ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვაზე, რომლებიც უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემაში ამგვარი ოპერაციების სათანადოდ გამოვლენას და მათ შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას ფინანსურ ანგარიშგებაში. ხელმძღვანელობას არ აქვს გაცნობიერებული დაკავშირებულ მხარეთა ყველა ურთიერთობისა და ოპერაციის არსებობა.

2.3 შრომის ანაზღაურება

2.3.1 შრომის ანაზღაურების ფონდის ზრდა

კანონის¹⁸ მიხედვით დაუშვებელია 2018–2020 საბიუჯეტო წლებში საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ფონდის გაზრდა 2018 წლის შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსაზღვრულ ჯამურ მაჩვენებელთან შედარებით, გარდა კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რაც მდგომარეობს შემდეგში: 2019-2020 წლებში ამ კანონით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ფონდი 2018 წელთან შედარებით შეიძლება გაიზარდოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მხოლოდ შესაბამისი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვის პროცესში.

აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ხაზინის ამონაწერებიდან სახაზინო კოდით – 2.1, „შრომის ანაზღაურება“ საკასო ხარჯების 2018-2019 წლების მონაცემების შედარებით ირკვევა, რომ 2019 წელს გაიზარდა შრომის ანაზღაურების ხარჯები შემდეგ მხარჯავ დაწესებულებებში:

ცხრილი 2. შრომის ანაზღაურება – საკასო ხარჯები

დასახელება	საკასო ხარჯი - სახაზინო კოდი 2.1 - შრომის ანაზღაურება (ლარი)			
	2018 წელი	2019 წელი	%-ული ზრდა	თანხობრივი ზრდა
ჯამურად რესპუბლიკური ბიუჯეტი	7,374,513	7,989,605	8.34	615,092

¹⁶ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N01/69 ბრძანება „კონსოლიდირებული ბუღალტრული ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“.

¹⁷ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 3; მუხლი 13⁴ პუნქტი 2, ქვეპუნქტები „ა“, და „ბ“.

¹⁸ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ მუხლი 34, პუნქტები: პირველი და მე-3.

აფხაზეთის ა/რ მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	1,168,532	1,231,457	5.38	62,925 ¹⁹
აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	369,199	408,103	10.54	38,904
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	713,206	856,884	20.15	143,678
აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტი	498,304	552,560	10.89	54,256
აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში	444,779	454,854	2.27	10,075
აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	248,187	290,362	16.99	42,175
აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში	481,940	519,254	7.74	37,314
ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის აპარატი	226,130.40	284,742.62	25.92	58,612

აუდიტის ობიექტის ჯგუფის დონეზე 615,1 ათასი ლარით შრომის ანაზღაურების სახელფასო ფონდის ზრდით, დაფიქსირდა საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამოდ ხარჯვა.

2.3.2 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ანაზღაურების ფონდის ზრდა

2019 წელს 2018 წელთან შედარებით გაიზარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება – 45.53%-ით.

ცხრილი 3. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება

დასახელება	2018 წ	2019 წ	%-ული ზრდა	თანხობრივი ზრდა
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	191,080.95	303,627.17	58.9	112,546.22
აფხაზეთის ა/რ მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	157,864.17	198,765.61	25.91	40,901.44
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	138,000.42	165,423.70	19.87	27,423.28
ზემო აფხაზეთში – აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა	35,050.00	37,926.30	8.21	2,876.30
აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	63,572.85	90,387.50	42.18	26,814.65
აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში	63,733.36	101,524.18	59.3	37,790.82

¹⁹ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, ზრდა ძირითადად განპირობებული იყო აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ახალი საშტატო ერთეულის შემოღებითა და რეორგანიზაციის შედეგად აფხაზეთის ა/რ მთავრობის დაქვემდებარებაში შესული ახალი კომპონენტის – აფხაზეთის ა/რ არქივის სამმართველოს შრომის ანაზღაურების ფონდით.

აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში	86,416.00	108,257.02	25.27	21,841.02
აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	113,538.00	246,951.35	117.51	133,413.35
ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის აპარატი	84,000.00	105,311.56	25.37	21,311.56
სულ:	933,255.75	1,358,174.39	45.53%	424,918.64

აუდიტის ობიექტის ჯგუფის დონეზე 424,9 ათასი ლარით კანონშეუსაბამოდ არის გაზრდილი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება, რაც ქმნის საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად გახარჯვის რისკებს.

სას-ის მიერ წინა წლებში არაერთხელ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ არ იყო განსაზღვრული მომუშავეებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა, წარმოდგენილი ანგარიშებით კი ვერ ხერხდებოდა მათ მიერ შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგისა და აქედან მიღებული სარგებლის იდენტიფიცირება, რაც ქმნის საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს.

1.3.3 სუბსიდიების მუხლით გაცემული შრომის ანაზღაურება

გარდა ზემოაღნიშნულისა, ხელფასები გაცემულია სახაზინო მუხლით 2.5.3 – „სუბსიდიები“. 2019 წელს 2018 წელთან შედარებით სუბსიდიის მუხლით გაცემული შრომის ანაზღაურება გაიზარდა 15.12%-ით.

ცხრილი 4. „სუბსიდიების“ მუხლით გაცემული შრომის ანაზღაურება

დასახელება	2018	2019	ზრდა/კლება	%-ლი ზრდა
სხვა სექტორებს - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო	634,039	872,649	238,610	37.63
სხვა სექტორებს - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ჯილდო/პრემია	1,400	20,740	19,340	1381.43
სხვა სექტორებს - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დანამატი	3,000	2,500	(500)	-16.67
სხვა სექტორებს - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დამკირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება ფულადი ფორმით	4,079	1,997	(2,082)	-51.04
სხვა სექტორებს - თანამდებობრივი სარგო	1,534,193	1,613,425	79,231	5.16
სხვა სექტორებს - პრემია	15,225	19,824	4,599	30.21
სხვა სექტორებს - დანამატი	23,579	16,786	(6,793)	-28.81
სხვა სექტორებს - ჰონორარი	-	2,478	2,478	100.00
სულ:	2,215,515	2,550,399	334,884	15.12

აუდიტის ობიექტის ჯგუფის დონეზე 334,9 ათასი ლარით კანონშეუსაბამოდ არის გაზრდილი სუბსიდიის მუხლით გაცემული სსიპ/აიპ-ების დასაქმებულ პირთა ანაზღაურება, რაც ქმნის საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად გახარჯვის რისკებს.

2.3.4 შრომითი ანაზღაურების ზრდა

მოქმედი კანონმდებლობის²⁰ მიხედვით, დაუშვებელია პოლიტიკური თანამდებობის პირის თანამდებობრივი სარგო დადგინდეს ამ თანამდებობის პირისათვის 2017 წელს გაცემული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებაზე მეტი ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვის პროცესში ხდება აღნიშნული ცვლილების მიღება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აფხაზეთის მთავრობის აპარატში დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც გაიზარდა საშუალო თვიური თანამდებობრივი სარგო 2019 წლის 1 სექტემბრიდან და 2019 წლის ბოლო 4 თვის განმავლობაში და ყოველთვიურმა სარგომ შეადგინა 5,750 ლარი²¹, მაშინ როდესაც კანონის²² შესაბამისად, წლის დასაწყისში საქართველოს ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვის პროცესში ცვლილება არ ფიქსირდება.

²⁰ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 34, პუნქტი 6.

²¹ 2018 წლის საშუალო თანამდებობრივ სარგოსთან შედარებით გაზრდილია 1,250 ლარით;

²² საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 34, პუნქტები: პირველი და მე-3.

3. სხვა გარემოებები

3.1 დარღვევები

ავტომანქანის შესყიდვაში

სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანიზაციის²³ (ფინანსთა სამინისტრო) არასათანადო კონტროლის პირობებში, 2019 წელს ავტომანქანის შესყიდვისას საბიუჯეტო სახსრების (65,0 ათასი ლარი) ხარჯვაში დაფიქსირდა დარღვევა-ნაკლოვანებები. კერძოდ:

აფხაზეთის სავაჭრო პალატამ 2019 წლის ოქტომბერში აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკურ ბიუჯეტში ცვლილებების განსახორციელებლად, მსუბუქი ავტომანქანის შეძენის მიზნით, შესაბამისი წერილით²⁴ მიმართა ფინანსთა სამინისტროს. ხაზგასასმელია, რომ ბიუჯეტის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის კანონპროექტზე თანდართულ ახნა-განმარტებით ბარათში ცვლილებების აუცილებლობის სათანადოდ არგუმენტირებული დასაბუთება წარმოდგენილი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, სავაჭრო პალატას დაუმტკიცდა²⁵ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით ასიგნებები 67,5 ათასი ლარის ოდენობით. სავაჭრო პალატამ ერთ პირთან პირდაპირი მოლაპარაკების გზით ფიზიკური პირისაგან 65,0 ათას ლარად შეისყიდა²⁶ მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება²⁷. აღსანიშნავია, რომ ავტომანქანის შესყიდვიდან ფაქტობრივად, ერთ თვეში აღნიშნული ავტომობილი, მაღალი გამავლობის ავტომობილის სანაცვლოდ, სავაჭრო პალატამ გადასცა²⁸ ფინანსთა სამინისტროს, რომელმაც თავის მხრივ უკვე იგივე მანქანა გადასცა²⁹ აფხაზეთის მთავრობის აპარატს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეზე გასაპიროვნებლად. როგორც აუდიტის პროცესში გაირკვა³⁰, ზემოაღნიშნულ ავტომანქანას, 2019 წლის 9 იანვრიდან 2019 წლის 8 ოქტომბრამდე ფლობდა პირი, რომელიც დაკავშირებული მხარე აღმოჩნდა იმ პირთან, ვისზეც გაპიროვნებული იქნა მოცემული ავტომობილი.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ სავაჭრო პალატის მიერ შესყიდვის განხორციელებამდე არ იქნა წინასწარ მკაფიოდ განსაზღვრული, თუ როგორი ტიპის ავტომობილი ესაჭიროებოდა სავაჭრო პალატას მისი საქმიანობიდან გამომდინარე – „სედანი“ თუ მაღალი გამავლობის ავტომობილი. ასევე, ვერ იქნა წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია. არ იქნა მოპოვებული სრული ინფორმაცია ავტომანქანის შესახებ და არ მოხდა ამ ინფორმაციის გათვალისწინება ავტომანქანის შეძენისას გარიგების ფასის დადგენის დროს³¹, კერძოდ:

) აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, შესყიდული სატრანსპორტო საშუალების ანგარიშიდან³² ირკვევა, რომ ავტომანქანის გარბენის მონაცემების ისტორიით, 2015 წლის 10 აპრილს ავტომობილების აუქციონზე გასაყიდად გატანისას, ავტომანქანა იყო ავარიულ მდგომარეობაში და გარბენი შეადგენდა 86,914 ამერიკულ მილს (139,0 ათას

²³ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“ მუხლი 7.

²⁴ სავაჭრო პალატის 2019 წლის 27 სექტემბერის N72 წერილი;

²⁵ 2019 წლის 3 ოქტომბერს „აფხაზეთის ა/რ 2019 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში შეატანილი ცვლილებები;

²⁶ 2019 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული N97 მიღება-ჩაბარების აქტი და ხელშეკრულება;

²⁷ „მერსედეს-ბენცი სედანი“, მოდელი S550, ძრავის მოცულობა 561; ფერი რუხი 5/8, გამოშვების წელი – 2010; (CPV 3410000).

²⁸ სავაჭრო პალატის 2019 წლის 22 ოქტომბრის N78 წერილი, ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 8 ნოემბრის N757/02 წერილი, სავაჭრო პალატის პრეზიდენტის 2019 წლის 11 ნოემბრის N36 ბრძანება

²⁹ აფხაზეთის მთავრობის აპარატის 2019 წლის 7 ნოემბრის N01/1551 წერილი, ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 11 ნოემბრის წერილი N76/02, ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 15 ნოემბრის N63/123 ბრძანება;

³⁰ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის 7 ივლისის N003228/19 წერილი, სსიპ – საქართველოს შსს-ს მომსახურების სააგენტოს 8 ივლისის NMIA 4 20 01544364 წერილი.

³¹ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ მუხლი 13², პუნქტი 4.

³² Отчет об истории транспортного средства по VIN# WDDNG7BB6AA342241 -

http://vininfo.ge/report.php?&report_id=275203&h=94f75ad1ccb134e533a1a6c6baac0de2&lng=rus&action=view

კილომეტრს) და არა 50,0 ათას კილომეტრს, როგორც ეს დაფიქსირდა სავაჭრო პალატის მიერ ავტომანქანის შესყიდვის მომენტისათვის;

- ს) ინტერნეტსაიტზე: <http://myauto.ge> არქივიდან ამოღებული შესყიდული მსუბუქი ავტომობილის შესადარისი ავტომობილების 2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გამოცხადებული ფასებიდან გაირკვა, რომ სავაჭრო პალატის მიერ შესყიდულ იქნა ყველაზე ძვირი ავტომობილი (გამოცხადებული ფასი 70,0 ათასი ლარი; შევაჭრების შემდეგ ფასდაკლებული 65,0 ათასი ლარი).

ამრიგად, ზემოაღნიშნული დარღვევების გამომწვევი ფაქტორების შესწავლით გამოვლინდა, რომ რესპუბლიკურ ბიუჯეტში არასათანადო, დაუსაბუთებელი ცვლილებების შეტანის პრაქტიკა³³ და კონტროლის სისუსტეები ზრდის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან, არამართლზომიერი ხარჯვის რისკებს.

3.2 კონტროლის სისუსტე

- ს) განათლების სამინისტრომ წერილით³⁴ სთხოვა ფინანსთა სამინისტროს განათლების სამინისტროსა და სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში (რომელიც არ ითვალისწინებდა უნივერსიტეტისათვის რაიმე სახის ფინანსური დახმარების გაწევას) სასწავლო პროცესის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისათვის მიკროავტობუსის შესაძენად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით განათლების სამინისტროს აპარატის (06 01) ასიგნებებში, „სხვა ხარჯების“ (28) მუხლში გათვალისწინებული 60,0 ათასი ლარის „კაპიტალური გრანტები ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებს“ (263212) მუხლში გადატანა. აღნიშნული თხოვნა დაკმაყოფილდა და 2019 წლის 1 ნოემბერს განათლების სამინისტროს ბიუჯეტში შევიდა შესაბამისი ცვლილებები. საბიუჯეტო კლასიფიკაციით,³⁵ ბიუჯეტში „სხვა ხარჯების“ (28) მუხლში კლასიფიცირებულია ისეთი ხარჯები, რომლებიც მეთოდოლოგიის³⁶ მიხედვით, შინაარსობრივად მართვისა და ადმინისტრირების პროგრამებით გასაწევი ხარჯები არ არის. სამინისტროს აპარატის პროგრამის³⁷ (06 01) ფარგლებში ბიუჯეტის „სხვა ხარჯების“ (28) მუხლში მეთოდოლოგიის და საბიუჯეტო კლასიფიკაციის³⁸ მოთხოვნების შეუსაბამოდ გამოყოფილი³⁹ ასიგნებების გამო, შესაძლებელი გახდა ხარჯების ამ მუხლში აუთვისებელი თანხების გადატანა (263212) მუხლში – „კაპიტალური გრანტები ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებს“, რის შემდეგაც N5990 საგადასახადო მოთხოვნით განათლების სამინისტრომ 60,0 ათასი ლარი გადაურიცხა სოხუმის უნივერსიტეტს მიკროავტობუსის შესაძენად. აღნიშნული ქმედებით, წარმოიქმნა 60,0 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერად ხარჯვის რისკი;

- ს) აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების მიერ დევნილებზე გაცემული ერთჯერადი სოციალური დახმარებების მონაცემების შესწავლით გამოვლინდა, რომ აღმოსავლეთისა და სამეგრელოს წარმომადგენლობების

³³ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი. 2019 წელს განხორციელებული 4 (ოთხი) ცვლილებიდან და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს (კვარტლებს) შორის თანხების გადანაწილების 313 ფაქტიდან, უმეტესობა არასაკმარისად იყო დასაბუთებული და პროგრამების საბოლოო მიზნებსა და შედეგებზე სრულად არ იყო ორიენტირებული.

³⁴ 2019 წლის 15 ნოემბრის MES 1 19 01560037 წერილი.

³⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“.

³⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია“.

³⁷ შინაარსობრივად მართვის და ადმინისტრირების პროგრამა.

³⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“.

³⁹ „აფხაზეთის ა/რ 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ - აფხაზეთის ა/რ კანონი 31-ს 03.10.2019 წ.

მიერ წარმოებულ ბენეფიციართა რეესტრში ფიქსირდება მთელი რიგი შეცდომები: ბენეფიციართა პირადი ნომრების, სახელისა და გვარის, აგრეთვე ანგარიშის ნომრის მონაცემებში. ასევე აღსანიშნავია, რომ იმავე წარმომადგენლობის შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისიის მიერ დაფინანსების გადაწყვეტილების მიღების შესახებ ოქმის გაფორმებისას, აღნიშნულ ოქმს თან ერთვის დაფინანსებულ ბენეფიციართა მონაცემები, თუმცა არც ერთ შემთხვევაში არ ფიქსირდება საბანკო ანგარიშის ნომრები (გარდა იმერეთის წარმომადგენლობისა, სადაც მსგავსი ხარვეზები არ დაფიქსირებულა). შესაბამისად, ბუღალტერიას ანგარიშის ნომრები მიეწოდება არაფორმალურად, სხვადასხვა გზით, რამაც გამოიწვია არაარსებითი შეცდომები და შეუსაბამოები წარმოებულ რეესტრსა და გადარიცხვის მონაცემებს შორის, რაც ქმნის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის რისკებს.

- 2019 წელს **ფინანსთა სამინისტროს** აპარატის სარგებლობაში იყო სამორიგეო ავტომატქანა⁴⁰ რომელიც უნდა გამოყენებულიყო სამსახურებრივი მიზნებისათვის აპარატის თანამშრომლის მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა აღნიშნული ავტომატქანის მოძრაობის ჟურნალის შესწავლით დადგინდა, რომ წლის განმავლობაში ჟურნალში დაფიქსირებული 133 შემთხვევიდან, 130 შემთხვევაში (98%) გამოყენებულია ერთი თანამშრომლის მიერ, რაც შინაარსის ფორმაზე აღმატებულობიდან გამომდინარე, ფაქტობრივად პერსონალურად სარგებლობის ავტომატქანად უნდა ჩაითვალოს, რაც თავის მხრივ, წარმოშობს წლის განმავლობაში აღნიშნულ ავტომატქანაზე გაწეული ხარჯების (1,750.0 ლიტრი საწვავი, ღირებულებით – 3,8 ათასი ლარი) არამიზნობრივად/არამართლზომიერად გახარჯვის რისკებს;
- ფინანსთა სამინისტროს** აპარატში გამოვლინდა მინისტრის მიერ დადგენილი საწვავის ლიმიტის გადაჭარბების შემთხვევა⁴¹ ნოემბრის თვეში, ჯამში – 130 ლიტრი, რომელიც ობიექტის განმარტებით, გამოიწვია მინისტრის მიერ 2019 წლის 21 ნოემბერს გამოცემულ ბრძანებაში⁴² დაშვებულმა შეცდომამ. კერძოდ, მანამდე მოქმედი ბრძანებით⁴³ ლიმიტი განსაზღვრული იყო 350 ლიტრით და 21 ნოემბრის ბრძანებით განისაზღვრა 200 ლიტრი. ობიექტის განმარტებით, აღნიშნული ბრძანება უნდა ამოქმედებულიყო 1 დეკემბრიდან, თუმცა შეცდომით დაფიქსირდა – „ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე“;
- მხარჯავ დაწესებულებებში და სამინისტროების კონტროლირებად ერთეულებში, გარდა ცალკეული გამონაკლისისა, არ არის დანერგილი ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მეშვეობით (საბუღალტრო პროგრამები) ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს მატერიალური ფორმით, რაც ზრდის შეცდომის დაშვების, ეკონომიკური მოვლენის გამოტოვების ან არასწორად აღრიცხვის რისკს. შესაბამისად, მაღალია ფინანსური ანგარიშგების არასწორად და არასრულად შედგენის და წარდგენის რისკი.
- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელია შიდა აუდიტის სუბიექტი, რომელიც მიმართულია დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებასა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ, რასაც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი, ობიექტური მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობით და სისტემატიზებული, დისციპლინებული მიდგომით აფასებს, აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის

⁴⁰ SHKODA (სახელმწიფო ნომრით CP-281-PC),

⁴¹ ავტომატქანა MERCEDES BENZ-ზე (სახელმწიფო ნომრით - QLQ 658)

⁴² ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2019 წლის 21 ნოემბერს N03/127 ბრძანება.

⁴³ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2018 წლის 30 აპრილის N03/31 ბრძანება.

ეფექტიანობას.⁴⁴ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აუდიტის პერიოდში აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსა და აფხაზეთის მთავრობაში დაფიქსირდა შიდა აუდიტის სამსახურების გაუქმების ფაქტები.

⁴⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი „ბ“.

4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის **2007 წლის 28 დეკემბრის N1321** ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახორციელებთ **კონსოლიდირებულ** ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეკეს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალში მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები

ხელმოწერა

ნოდარ გაბედავა

წამყვანი აუდიტორი

მიხეილ გოდოლაძე

აუდიტორი

ეთერ კაცაძე

აუდიტორი

ნინო ბრეგვაძე

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

ფორმა N1. აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტით დაფინანსებული
მხარჯავი დაწესებულებების 2019 წლის კონსოლიდირებული (ნაერთი)
ბალანსი (ლარი)

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	31.12.2018	31.12.2019
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230	152,559	66,980
240	მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	6,015	5,040
370	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420	1,809	-
380	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	81,259	-
390	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	15,650	56,262
400	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	1,683,792	1,543,977
460	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	1462	2,170	2,170
480	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	100	-
520	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1483	2,769	107,699
630	ფულადი დოკუმენტები	1625	-	677
650	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1627	312,291	43,591
670	საცხოვრებელი შენობები	2111	25,741	25,437
680	არასაცხოვრებელი შენობები	2112	13,915,704	13,431,287
690	სხვა ნაგებობები	2113	21,927	27,422
710	სატრანსპორტო საშუალებები	2121	488,849	718,069
720	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებების გარდა	2122	551,772	776,046
730	კულტივირებული აქტივები - კულტივირებული ბიოლოგიური რესურსები	2131	-	9,600
740	ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტები	2132	53,679	58,244
790	ტექნიკა	2210	-	284
820	სხვა მცირეფასიანი აქტივები	2240	-	167
840	ხელოვნების ნიმუშები	2320	4,400	4,400
850	სხვა ფასეულობები	2330	13,460	2,179
860	მიწა	2410	877,126	12,982,126
890	არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	2440	28,940	-
900	ბალანსი		18,240,012	29,861,657
II. ვალდებულებები				
910	ვალდებულებები დეპოზიტებით	3110	-	20
980	საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	8,228	45,160
1010	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	372	394
1030	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243	-	6
1050	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები საკასო შესრულებით	3245	129	-
1060	გადასახდელი ქონების გადასახადი	3246	26	44
1090	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	16,332	16
1100	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დარიცხული ხელფასები	3252	-	25
1110	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	-	198
1120	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254	-	1,521
1180	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260	646	646
1240	წინასწარ მიღებული საიჯარო ქირა	3281	-	1,277

1290	სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	3286	-	37,890
1310	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3312	9,000	9,000
II. კაპიტალი				
1360	წმინდა ღირებულება	5100	18,068,725	29,742,367
1380	გაუნაწილებელი მოგება	5220	142,677	23,093
1390	დაუფარავი ზარალი*	5230	(6,123)	-
1400	ბალანსი		18,240,012	29,861,657
III. საცნობარო მუხლები				
1410	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	01	110,000	110,000
1420	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	9,021	49,039
1430	გადახდისუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	19,284	168,670
1440	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	18,181	28,509
1460	პირობითი ვალდებულებები	06	12,997	17,585
1480	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	914,051	940,132
1490	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	982	982
1500	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	857,538	1,065,879
1510	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	25,917	20,011

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

კოდი	ორგანიზაცია	მისამართი	შენიშვნა
01 00	აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16	
02 00	აფხაზეთის ა/რ მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები		
02 01	აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატი	თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. N42	
02 02	აფხაზეთის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს აპარატი ⁴⁵	თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. N42	გაერთიანდა 02 01-თან, აფხაზეთის ა/რ მთავრობის დადგენილება N16 (2019 წლის 5 ივნისი)
02 04	აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N1	
05 00	აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16	
06 00	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები		
06 01	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68	
06 02	ზემო აფხაზეთის რესურსცენტრი	თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68	
06 03	გალის რაიონის რესურსცენტრი	თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68	
06 11	სსიპ – აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრი	თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68	ლიკვიდაცია, აფხაზეთის ა/რ მთავრობის დადგენილება N39 (2019 წლის 26 ნოემბერი)
06 12	სსიპ – სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68	
06 13	სსიპ – სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“	თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68	
06 14	სსიპ – აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“	თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68	
06 15	ა(ა)იპ – სულიერებისა და კულტურის ცენტრი	თბილისი, თოფურიას ქუჩა N10	რეორგანიზაცია, აფხაზეთის ა/რ მთავრობის დადგენილება N39 (2019 წლის 26 ნოემბერი)
06 20	სსიპ – გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა	თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68	
06 26	სსიპ – აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქუჩა N68	ლიკვიდაცია, აფხაზეთის ა/რ მთავრობის დადგენილება N39 (2019 წლის 26 ნოემბერი)
08 00	ზემო აფხაზეთში – აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16	

⁴⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 5 ივნისის N16 დადგენილება „აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს ლიკვიდაციის შესახებ“

10 00	იუსტიციის დეპარტამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები		
10 01	აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტი ⁴⁶	თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N17ე	გაერთიანდა 19 00 აფხაზეთის ა/რ მთავრობის დადგენილება N23 (2019 წლის 17 ივლისი)
10 02	აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N1	გაერთიანდა 02 04, ⁴⁷
11 00	აფხაზეთის ა/რ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტრო	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16	
12 00	აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი	თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზ. N15ა	გაერთიანდა 18 08 აფხაზეთის ა/რ კანონში განხორციელდა ცვლილება ⁴⁸
13 00	აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში	ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N35	
14 00	მთავრობის წარმომადგენლობა იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	ქუთაისი, ი.აბაშიძის ქუჩა N27	
15 00	აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში ⁴⁹	თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 89/24	
18 00	აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები		
18 01	აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო	თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზ. N15 ^ა	
18 02	აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი	თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზ. N15 ^ა	

⁴⁶ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონში 2019 წლის 30 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის N 24 კანონით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად ლიკვიდირებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი და მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები გადანაწილდა საქმიანობის მიმართულებების მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

⁴⁷ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონში 2019 წლის 30 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის N 24 კანონით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად ლიკვიდირებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი და მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები გადანაწილდა საქმიანობის მიმართულებების მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

⁴⁸ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონში 2019 წლის 17 ივლისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის N 23 კანონით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად გაუქმებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის ფუნქციები და უფლებამოსილებანი გადაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ჩაითვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის უფლებამოსილებები. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის უფლებამოსილებები გაანისაზღვრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტრო.

⁴⁹ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების (აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა) შერწყმის შესახებ“

18 03	სსიპ – გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო	თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზ. N15 ^ა	
18 04	სსიპ – საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი	თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზ. N15 ^ა	
18 05	სსიპ – აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი „ბიზნესინკუბატორი“	ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა N1	
18 06	სსიპ – აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16	
18 07	დევენილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო ⁵⁰	თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზ. N15 ^ა	
18 08	აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი ⁵¹	თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზ. N15 ^ა	შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 13 სექტემბრის N24 დადგენილებით
18 10	ა(ა)იპ – „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის“	თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. N42	
19 00	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16	

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

50 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 23 სექტემბრის N32 დადგენილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის „გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს“ რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „დევენილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს“ შექმნის შესახებ.

51 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 13 სექტემბრის N24 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – აგრარულ საკითხთა დეპარტამენტის შექმნის შესახებ“

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38